პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 97 (5906)
1977 წ.
19 მაისი.
ხუთშაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ლელოს" ანკეტა

აღმავლობის გზით

ანკეტის შეკითხვებზე გაცემულ პასუხებში რესპუბლიკის სპორტულ საზოგადოებათა მესვეურები გვიამბობენ, თუ როგორ ხვდებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს.

დღეს „ლელოს" ანკეტის კითხვებზე გვიპასუხებს ამიერკავკასიის რკინიგზის სპორტსაზოგადოება „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს თავმჯდომარე **თ. ქობულაძე.**

1. დიდი ოქტომბრის სახელოვანი მე-60 წლისთავისთვის მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად სპორტსმენებიც ემზადებიან. როგორ ეგებება თქვენი საზოგადოება მომავალ დღესასწაულს, რა ღონისძიებები გაქვთ დაგეგმილი დიდი სპორტის შემდგომი განმტკიცებისთვის, რას უპატაკებთ სამშობლოს 1977 წლის 7 ნოემბრისთვის?

2. სპორტის რა სახეობებია თქვენს ორგანიზაციაში ყველაზე მეტად განვითარებული? რომელი სახეობები მიგაჩნიათ ჩამორჩენილად და რა კეთდება მდგომარეობის გაუმჯობესებისთვის?

3. რა კეთდება თქვენს ორგანიზაციაში მოზარდ სპორტსმენთა დაოსტატების მიზნით?

4. წინ არის სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშები. როგორ ემზადება თქვენი ორგანიზაცია ამ ორი დიდი ასპარეზობისთვის, კონკრეტულად რა კეთდება ოქტომბრის საიუბილეო დღეებისთვის?

1. ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი ამიერკავკასიის რკინიგზის მუშა-მოსამსახურეთა მრავალათასიან კოლექტივთან ერთად „ლოკომოტივის" სპორტსმენები და თანამშრომლებიც უდიდესი სიხარულით ეგებებიან საბჭოთა სახელმწიფოს მე-60 წლისთავს. წლეულს საბჭოს დაგეგმილი აქვს ჩაატაროს ამიერკავკასიის რკინიგზის სპარტაკიადის ფინალური ასპარეზობა სპორტის 16 სახეობაში, რომელსაც წინ უძღვის შეჯიბრებები ფიზკულტურის კოლექტივებში, სპორტულ კლუბებსა და რაიონულ საბჭოებში. ჩვენი სპორტსმენები „ლოკომოტივის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონატებში 15 სახეობაში ცდიან ძალას, მონაწილეობას მიიღებენ 17 რესპუბლიკურ და 4 საკავშირო ასპარეზობაში. გათვალისწინებული გვაქვს 1977 წლის გეგმა-ვალდებულებები 7 ნოემბრისთვის შევასრულოთ.

2. „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოში დანერგილია სპორტის შემდეგი სახეობები: კალათბურთი, ფრენბურთი, რეგბი, ბალახის ჰოკეი, ფეხბურთი, სანიჩბოსნო სლალომი, ნიჩბოსნობა, ფარიკაობა, ძალოსნობა, კრივი, ცურვა, ყველა სახის ჭიდაობა, მშვილდოსნობა, სასტენდო სროლა, ჩოგბურთი, ხელბურთი, საგზატკეცილო ველოსპორტი და ტანვარჯიში.

ვიმედოვნებთ, რომ წლეულს რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებში შარშანდელზე მეტ წარმატებებს მოვიპოვებთ. კარგ შედეგებს ველით სასტენდო სროლაში, ბალახის ჰოკეიში, თავისუფალ ჭიდაობაში, რეგბიში, სანიჩბოსნო სლალომში, ბაიდარებითა და კანოეებით ნიჩბოსნობაში.

განსაკუთრებულ იმედს ვამყარებთ ჩვენს სახელოვან სპორტსმენებზე ლ. თედიაშვილზე (თავისუფალი ჭიდაობა), თ. იმნაიშვილსა და ტ. ჟღენტზე (სასტენდო სროლა), რომელთაგანაც მაღალ შედეგებს ველით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს საზოგადოებაში ჯერ კიდევ ვერ პოვა სათანადო განვითარება სპორტის ისეთმა ოლიმპიურმა სახეობებმა, როგორიცაა ცურვა და კრივი. ძალოსნობაში მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კაპიტალურად შევაკეთეთ და მოვაწყვეთ „ლოკომოტივის" ფიზკულტურის სახლთან არსებული დარბაზი. რაც შეეხება სპორტულ თამაშებს, ნაკრები გუნდები გვყავს ფეხბურთში (სამტრედია), რეგბიში (თბილისი), ბალახის ჰოკეიში (ქუთაისი), ხელბურთში (თბილისი).

მეათე ხუთწლედში გათვალისწინებულია სპორტდარბაზის აგება თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონის ტერიტორიაზე. ეს ახალი ბაზა ხელს შეუწყობს ფრენბურთისა და კალათბურთის შემდგომ განვითარებას ჩვენს საზოგადოებაში.

3. საგზაო საბჭო დიდ ყურადღებას უთმობს ახალგაზრდა სპორტსმენთა დაოსტატებას და მათი შედეგების ამაღლებას. ახალგაზრდებისთვის შექმნილია სათანადო პირობები, ისინი უზრუნველყოფილი არიან ბაზებით, ინვენტარითა და ფორმებით. ვფიქრობთ, ჩვენი ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენები ახლო მომავალში დაიკავებენ ადგილებს რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებში.

4. გასული წლის ოქტომბერში, „ლოკომოტივის" საგზაო საბჭოს პრეზიდიუმმა იმსჯელა XXI ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენების მიერ მოპოვებულ შედეგებზე. დამტკიცდა მეორე ახალგაზრდული საკავშირო თამაშებისთვის, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისა და მოსკოვის XXII ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების გეგმა.

ყველაფერს ვიღონებთ, რათა ლოკომოტიველმა სპორტსმენებმა ღირსეული წვლილი შეიტანონ მომავალ დიდ შეჯიბრებებში საქართველოს და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდების წარმატებაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

ექვსი პირველი...

ბერნი. სსრ კავშირისა და შვეიცარიის ტანმოვარჯიშეთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც აქ გაიმართა, სტუმრებმა იმარჯვეს — 279,20:263,75. საბჭოთა სპორტსმენებმა პირად შეჯიბრებაში ექვსი პირველი ადგილი დაიკავეს. უძლიერესი გახლდათ ტაშკენტელი ა. ატანაზოვი.

კიდევ ერთი გამარჯვება

ნიუ იორკი. მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა, 35 წლის მ. ალიმ თავის აქტივში კიდევ ერთი გამარჯვება ჩაიწერა: მან ქულებით დაამარცხა ესპანელი ა. ევანგელისტა, რომელიც მის ცნობილ მეტოქეზე 13 წლით ახალგაზრდაა. ბრძოლაში, რომელიც ლენდოვერის რინგზე გაიმართა, ალიმ დაცვის შესანიშნავი ხელოვნება გამოავლინა. იგი 15 რაუნდის განმავლობაში კონტრშეტევით აგროვებდა ქულებს. ევანგელისტა მძიმე წონის უძლიერეს მოკრივეთა სიაში მეათე ადგილზეა.

მსოფლიო ჩემპიონის სახელიც...

დალასი. 24 წლის ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯ. კონორსმა თავის მრავალრიცხოვან ტიტულებს მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონის სახელიც მიუმატა. ფინალში მან თანამემამულე დ. სტოქტონი დაამარცხა — 6:7, 6:1, 6:4, 6:3.

თბილისის ცენტრალურ ველოდრომზე დამთავრდა საკავშირო ტრადიციული შეჯიბრება ველოსპორტში ახალგაზრდულ კოლექტივებს შორის. საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ნაკრებმა, რომელმაც 872 ქულა მოაგროვა. მან ჩამოიტოვა მოსკოვის, ლატვიის, ლენინგრადის, სომხეთის გუნდები, აგრეთვე, საბჭოთა კავშირის ნაკრები.

სურათზე: სპრინტის შეჯიბრების მომენტი.

ო. გელაშვილის ფოტო.

ჩიბურდანიძე — ნახევარფინალში

მეათე პარტია

ამ პარტიაში მ. ჩიბურდანიძეს ყაიმიც ჰყოფნიდა მატჩის მოსაგებად, ალექსანდრიას კი ხელს აძლევდა მხოლოდ გამარჯვება. ამ პირობებმა ბრძოლას თავისი დაღი დააჩნია.

ცნობილია, რომ ყაიმზე თამაში ხშირად... წაგებით მთავრდება. ამიტომ ჩიბურდანიძე თავიდანვე ცდილობდა ინიციატივას დაუფლებოდა, რათა მერე „ძალის პოზიციიდან" მეტოქე დაზავებაზე დაეყოლიებია.

მეტოქეებმა გაითამაშეს თანამედროვე სადებიუტო თეორიის ურთულესი სისტემა — ძველინდური დაცვა. ალექსანდრიას შეცდომამ მე-9 სვლაზე ხელი შეუწყო მაიას უპირატესობის მოპოვებაში. დიდოსტატის გვირგვინოსანი უროქოდ დარჩა, რაც ჩიბურდანიძის წინაშე დიდ პერსპექტივას შლიდა. ამიტომ მას ლაზიერები არ უნდა გაეცვალა, იერიშზე უნდა ეფიქრა, მაგრამ ნორჩმა მოჭადრაკემ იჩქარა ენდშპილში გადასვლა.

— ახლა მაია მძიმე მდგომარეობაშია, რადგან ფიგურების გადაჯგუფების შემდეგ ნანა უკეთეს პოზიციას მიიღებს, — თქვა ჩიბურდანიძის მწვრთნელმა, დიდოსტატმა ე. გუფელდმა.

მართლაც ასე მოხდა. დაკვირვებული მანევრებით ალექსანდრიამ თამაშში ჩააბა ეტლები, მერე — უმოქმედო მხედარი და მისი პოზიციური უპირატესობა უფრო ნათლად გამოიკვეთა. ნორჩი მოჭადრაკის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ განსაცდელის ჟამს მან დიდი ოპტიმიზმი გამოავლინა.

ძნელი სათქმელია, როგორ გაგრძელდებოდა თამაში, 32-ე სვლაზე ალექსანდრიას საეჭვო მანევრი რომ არ წამოეწყო. მან საკუთარი მეფე სახიფათო გზას გაუყენა: გაგზავნა ლაზიერის ფრთაზე.

პრეს-ცენტრში ანალიზის დროს დიდოსტატმა ბ. გურგენიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ 32. ეc2-ის შემდეგ ალექსანდრია უპირატესობას ინარჩუნებდა, თუმცა წყვილი ეტლი იცვლებოდა. მისი შეხედულება ბევრმა გაიზიარა.

რა თქმა უნდა, „ქუჩაში გამოსულ" თეთრ მეფეს თავს დაესხნენ შავი ეტლი და კუ. თავშესაფრის ძებნაში ალექსანდრიამ უპირატესობა დაკარგა, უფრო მეტიც. მას დროებით ხარისხის დათმობა დასჭირდა, რომ საშამათო ქსელისთვის დაეღწია თავი. ამ ეპიზოდში ჩიბურდანიძემ ენერგიულად ითამაშა და ინიციატივას კვლავ დაეპატრონა.

ამასობაში თამაშის დროც ამოიწურა. პარტია გადაიდო, 43-ე სვლა ჩიბურდანიძემ ჩაიწერა, სპეციალისტებმა პოზიცია შეაფასეს როგორც თანაბარი, მაგრამ შემდგომმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ჩიბურდანიძის ფიგურების განლაგება უფრო პერსპექტიულია.

თ. გიორგაძე.

გუშინ...

გათამაშდა გადადებული პარტია, რომელიც 59-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, მატჩი მოიგო ჩიბურდანიძემ ანგარიშით 5,5:4,5 და ქალთა მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ნახევარფინალში გავიდა. ნახევარფინალურ მატჩში მისი მეტოქე იქნება ამჟამად სოფიაში (ბულგარეთი) მიმდინარე ე. ახმილოვსკაია (სსრ კავშირი) — ტ. ლემაჩკოს (ბულგარეთი) მეოთხედფინალურ ორთაბრძოლაში გამარჯვებული მოჭადრაკე.

ჭადრაკი

„თეთრი ეტლი" — ქუთაისში

ბათუმში დამთავრდა რესპუბლიკური გუნდური პირველობა ჭადრაკში პიონერრაზმეულთა შორის მსოფლიო ჩემპიონთა პრიზზე — „თეთრი ეტლი". შეჯიბრებაში გაურკვეველი მიზეზით არ მონაწილეობდნენ თბილისისა და სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლები. ერთ-ერთი ამ კოლექტივის ნაცვლად უკონკურსოდ გამოდიოდა ბათუმის მე-7 საშუალო სკოლის გუნდი.

I ადგილი დაიკავა ქუთაისის მე-15 საშუალო სკოლის გუნდმა (თ. მესხი, ე. ფახიროვა, კ. შავგულიძე, კ. რაზოვსკი, ე. ანტონოვა. მწვრთნელი თ. ხარლამიდი, სკოლის დირექტორი მ. ქუთათელაძე) — 31,5 ქულა 35-დან. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჭაბუკთა პირველ დაფაზე მოჭადრაკე გოგონამ თამილა მესხმა შვიდივე შეხვედრა მოიგო.

24,5 ქულით მეორე ადგილზეა გალის მე-2 საშუალო სკოლის კოლექტივი (გ. ყოლბაია, მ. სიჭინავა, კ. ბიგვავა, გ. ქარდავა, ნ. სიჭინავა, მწვრთნელი ო. ბჟანია, სკოლის დირექტორი ნ. ეზუგბაია), მესამეზე — ბათუმის მე-20 საშუალო სკოლის გუნდი (ხ. უსნიანი, ს. გუროედოვი, კ. საპლახიდი, თ. დეკანაძე, ა. საპლახიდი. მწვრთნელი გ. მესრულიშვილი, სკოლის დირექტორი ჯ. ჯაყელი) — 23.

შემდეგ მოდიან ზუგდიდის 1-ლი სკოლა (17), გორის მე-13 (16), რუსთავის მე-20 (10,5), ბათუმის მე-7 (10) და ცხაკაიას მე-2 (7,5) სკოლები.

თავიანთ დაფებზე გაიმარჯვეს: მეორეზე — მ. სიჭინავამ — 6, მესამეზე — შავგულიძემ — 6,5, მეოთხეზე — რაზოვსკიმ — 7, გოგონების დაფაზე — ნ. სიჭინავამ — 7.

თუმცა მონაწილეთა საკვალიფიკაციო დონე მაღალი იყო (შეჯიბრებაში მონაწილეობდა ერთი ოსტატობის კანდიდატი, 7 პირველთანრიგოსანი, 22 მეორეთანრიგოსანი), უნდა აღინიშნოს, რომ ნორჩმა მოჭადრაკეებმა ჯერ კიდევ სუსტად იციან დებიუტების თეორია, ენდშპილი. სათანადოდ ვერ ერკვევიან ტაქტიკისა და სტრატეგიის საკითხებში. როგორც ჩანს, მწვრთნელები მხოლოდ იმით არიან დაინტერესებული, რომ მათმა აღსაზრდელებმა მეტი ითამაშონ შეჯიბრებებში და სათანრიგო ნორმატივები შეასრულონ.

ზ. მაჰავარიანი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

„სპორტის დედოფალი" თუ არ შევიყვარეთ...

ერთიანი საკავშირო სპორტული კლასიფიკაციის ცვლის ოთხწლიანი ციკლი სპორტის ცალკეულ სახეობათა შემდგომ განვითარებას ისახავს მიზნად. ნორმატივების გართულება ნაკარნახევია საერთაშორისო სარბიელზე მაჩვენებლების ზრდით. იყო დრო, სიმაღლეზე ხტომაში, სპორტის ოსტატის წოდების მოსაპოვებლად ორი მეტრის დაძლევაც კმაროდა. 1977-80 წლების კლასიფიკაციით კი ამ სიმაღლის გადალახვისთვის სპორტსმენებს მხოლოდ პირველი თანრიგი ენიჭებათ, ხოლო მან, ვისაც სპორტის ოსტატის სახელის ტარება სურს, აუცილებლად 215 სმ სიმაღლე უნდა დაძლიოს (აქვე მოგახსენებთ, რომ სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა რ. შავლაყაძემ რომის ოლიმპიადის ჩემპიონის ტიტული 216 სანტიმეტრზე გადებული თამასის გადალახვით მოიპოვა).

ახალი ერთიანი საკავშირო კლასიფიკაციის შემოღება მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიადისთვის საბჭოთა სპორტსმენთა უკეთ მომზადების აუცილებლობითაც არის ნაკარნახევი. ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში ადგილებს მხოლოდ ის სპორტსმენები დაიკავებენ, რომლებიც ახალი კლასიფიკაციისა და, რაც მთავარია, ოლიმპიურ მოთხოვნებს შეასრულებენ.

ახალი ერთიანი საკავშირო კლასიფიკაცია მიმდინარე წლის იანვრიდან მოქმედებს. ამ ნორმატივების საზომით იზომება ყველა მასშტაბის შეჯიბრებათა შედეგები. ასე იყო მძლეოსანთა რესპუბლიკურ ჩემპიონატშიც, რომელიც ამას წინათ თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გაიმართა. სარბიელზე სპორტსაზოგადოებათა და უწყებათა გუნდები გამოდიოდნენ. პირდაპირ ვიტყვით: შედეგები **ძალიან დაბალია. საგაზაფხულო შეჯიბრებაში საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის მაჩვენებლებს, მართალია, ვერ მოვითხოვთ, მაგრამ განა დასაშვებია, რომ რესპუბლიკურ ტურნირში პირველ ადგილზე გასულნი გამარჯვებას მეორე და მესამე თანრიგის შედეგებით (ზოგიერთი — საერთოდ უთანრიგოდაც) აღწევენ?**

რესპუბლიკურ ასპარეზობაში ვაჟებიდან მეორე თანრიგის შედეგით გაიმარჯვეს: 200 მეტრზე რბენაში — დინამოელმა ბ. ბერიაშვილმა (პირადი, 22,8), 3000 მეტრზე რბენაში — ი. ციგულიოვმა („ბურევესტნიკი", პირადი, 8.44.2), 110 მეტრზე თარჯრბენში — ს. კრასნოკუტსკიმ („ლოკომოტივი", 15,5), 4×400 მეტრზე ესტაფეტაში — „ბურევესტნიკის" კვარტეტმა (3.27,6) და სხვ. 10000 მეტრზე რბენაში უძლიერესი ს. მატვეევი (იგი მარტო დარბოდა) III თანრიგსაც ვერ შესწვდა — 33.19,4.

ქალთა შეჯიბრების პროგრამიდან ექვს სახეობაში გამარჯვებულნი მეორე თანრიგის შედეგებს დასჯერდნენ. 1500 მეტრზე რბენაში უძლიერესმა ტ. კორობკინამ („სპარტაკი", პირადი, 5.16,2) და 4×400 მეტრზე ესტაფეტაში „სპარტაკის" გუნდმა (4.17,4) III თანრიგის შედეგები ძლივს აჩვენეს.

შეიძლება შემოგვედაონ, ამ შეჯიბრების მონაწილეთაგან ორმოცდაათმა სპორტის ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის მაჩვენებლები რომ მოიპოვა, ეს არაფერს ნიშნავსო? მათ უნდა ვუპასუხოთ, რომ მსგავსი შედეგები ახალი კლასიფიკაციით მართლაც ბევრს არაფერს ნიშნავს, ვინაიდან ვერც ერთ საკავშირო შეჯიბრებაში საპრიზო ადგილებს ვერ მოგვიტანს. ამასთან, ამ მაჩვენებლებიდანაც ქალების წილად მხოლოდ შვიდი მოდის.

ნათელა ლაბაძემ („ბურევესტნიკი") ბადროს ტყორცნაში (55,50) სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივს გადააჭარბა და გუნდს 1352 ქულა შესძინა. ვაჟთა შორის მხოლოდ „კოლმეურნის" წარმომადგენელმა გ. გუდაშვილმა შეასრულა სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი ბადროს ტყორცნაში — 57,98 მ. კიდევ ერთი: გუდაშვილის თანაგუნდელმა ლ. შუმილინამ ხუთჭიდში საქართველოს რეკორდი დაამყარა — 3427 ქულა. ეს იყო და ეს.

ყოველივე ზემოთქმული მოწმობს, რომ რესპუბლიკის სპორტსაზოგადოებებსა და უწყებებში კვლავინდებურად ნაკლებად ზრუნავენ „სპორტის დედოფლის" განვითარებისთვის, არავინ ფიქრობს რეზერვზე, ნიჭიერ სპორტსმენთა გამოვლენასა და აღზრდაზე, ყველგან იმას ცდილობენ, როგორმე ფონს გავიდნენ, ხოლო რა შედეგი მოჰყვება ამ უდარდელობას, არავის აინტერესებს, მაგალითად, არმიის სპორტული კლუბი სარბიელზე არ გამოსულა, ხოლო „განთიადის" წარმომადგენლები იმდენად მოუმზადებელი აღმოჩნდნენ, რომ „შრომითი რეზერვების" მანამდე სუსტად ცნობილ გუნდსაც კი 3000 ქულით ჩამორჩნენ.

გუნდური პირველობა მოიპოვა „ბურევესტნიკის" ნაკრებმა, რომელმაც საბოლოო ჯამში 28800 ქულა მოაგროვა, მეორე ადგილზეა „კოლმეურნე" (24589), მესამეზე — „სპარტაკი" (19304), გაკვირვებას იწვევს „დინამოს" IV ადგილი — 14519. ეს რამდენიმე წელია დინამოელები ძალიან ჩამორჩნენ. მართალია, „დინამოს" სტადიონის წლობით გაჭიანურებულმა რემონტმა შეაფერხა ამ საზოგადოების მძლეოსანთა ტექნიკური მაჩვენებლების ზრდა, მაგრამ თბილისში საკუთარი ბაზა არც „ბურევესტნიკს" აქვს, არც „კოლმეურნეს" და „სპარტაკს". რაც შეეხება „ლოკომოტივს", იგი თავის ბაზას სათანადოდ ვერ იყენებს და ამიტომაც ამ შეჯიბრებაში V ადგილს დასჯერდა.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისთვის საქართველოს მძლეოსანთა მომზადებაში უდავოდ დიდი როლი ენიჭება „დინამოს" რეკონსტრუირებულ სტადიონზე სარბენი ბილიკებისა და სახტომი სექტორების დროულად მოწყობას. ამ საკითხის მოუგვარებლად 1979 წლის საკავშირო სპარტაკიადაში წარმატებაზე ფიქრი ზედმეტია.

ო. გელაშვილი.

მძლეოსანთა რესპუბლიკური ჩემპიონატი, რომელიც ჩატარდა ახალი კლასიფიკაციის მოთხოვნებით

ტექნიკური შედეგები

გაგაცნობთ მხოლოდ გამარჯვებულებს: **ქალები. რბენა. 100 მ.** ნ. დეგტიაროვა („სპარტაკი", პირადი) — 12,2, **200 მ.** დეგტიაროვა — 26,0, **400 მ.** მ. გრაფოვა („დინამო") — 1.01,4, **800 მ.** რ. კრბაშიანი (პირადი) — 2.23,3, **1500 მ.** ტ. კორობკინა („სპარტაკი", პირადი) — 5.16,2, **ესტაფეტა 4×100 მ.** „სპარტაკი" — 49,9; **სიგრძეზე ხტომა.** ვ. ჩელენკო („განთიადი") — 555 სმ; **სიმაღლეზე ხტომა.** ო. გოლუბოვა — („შრომითი რეზერვები") — 155; **შუბის ტყორცნა.** ს. ნოვოსელცოვა („კოლმეურნე") — 48,84; **ბირთვის კვრა.** ა. მარგოშვილი („კოლმეურნე") — 14,19.

ვაჟები. რბენა. 100 მ. დ. ოგანეზოვი („დინამო", პირადი) — 10,8, **400 მ.** ი. ვაშალომიძე („ბურევესტნიკი") — 49,8, **800 მ.** ა. ნეკრასოვი („ბურევესტნიკი") — 1.54,8, **1500 მ.** ი. ციგულიოვი („ბურევესტნიკი", პირადი) — 3.55,4, **5000 მ.** მ. შაპოვალოვი („ბურევესტნიკი") — 14.55,4; **400 მ. თარჯრბენი.** ი. ზენინი („ბურევესტნიკი") — 55,0; **3000 მ წინაღობებით.** შ. ნადირაძე („კოლმეურნე") — 9.35,2; **ესტაფეტა 4×100 მ.** „დინამო" — 42,6; **სიგრძეზე ხტომა.** გ. ხალიბინი („კოლმეურნე") — 734; **სიმაღლეზე ხტომა.** ვ. ნოზაძე („დინამო") — 2 მ. **ჭოკით ხტომა.** მ. თათევოსიანი („კოლმეურნე") — 470; **სამხტომი.** ვ. მოზგოვოი („განთიადი") — 15,26; **შუბის ტყორცნა.** რ. ბაირამოვი („ლოკომოტივი") — 66,84; **უროს ტყორცნა.** გ. ბედოშვილი („ბურევესტნიკი") — 62,40; **20 კმ სპორტული სიარული.** ა. ბერიძე („შრომითი რეზერვები", პირადი) — 1:39.46,8; **ათჭიდი.** ქ. ბერიშვილი („ლოკომოტივი") — 6926.

• • •

სურათებზე რ. ბაირამოვი ასპარეზობის დროს; 100 მეტრზე მორბენალი ქალები დისტანციაზე.

ავტორის ფოტოები.

მედიცინაზე დაყრდნობით

სპეციალისტები გვირჩევენ

თანამედროვე სპორტის, კერძოდ კი ფეხბურთის შემდგომი განვითარება მედიკო-ბიოლოგიურ მეცნიერებას უნდა ემყარებოდეს. წვრთნის სრულყოფილი მეთოდების დამუშავებას, რაც სპორტსმენთა მაღალი ოსტატობის საწინდარია, საფუძვლად პედაგოგიური, ფსიქოლოგიური და მედიკო-ბიოლოგიური კვლევის შედეგები უნდა დაედოს.

სადღეისოდ მედიკო-ბიოლოგიურმა მეცნიერებამ ბევრი ახალი სასარგებლო ცნობა მოგვაწოდა სპორტსმენთა ორგანიზმში წვრთნის შედეგად მომხდარ ფიზიოლოგიურ და ბიოქიმიურ ცვლილებათა შესახებ, რაც უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ათლეტთა ფიზიკური მუშაობის უნარზე. თანამედროვე სპორტულმა (კლინიკურმა) მედიცინამ შეძლო დაედგინა სპორტსმენის ორგანიზმში პათოლოგიური მდგომარეობის (გადაწვრთნა, სხვადასხვა დაავადება და ა. შ.) გამომწვევი მიზეზები, რომელთა განვითარებასაც წვრთნის პროცესის არარაციონალურად წარმართვა უწყობს ხელს. ყველა ზემოაღნიშნულის საკითხის მედიკო-ბიოლოგიური შესწავლა კვლავაც გრძელდება, ვინაიდან მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი სპორტსმენთა ყოველმხრივი — ფიზიკური, ტექნიკური, ტაქტიკური და ფსიქოლოგიური მომზადებისათვის საჭირო რეკომენდაციების გამომუშავება.

თანამედროვე ეტაპზე ფეხბურთელთა წვრთნაში ფიზიკურ დატვირთვას დიდი ადგილი ეთმობა. ამიტომ სპორტსმენთა პერიოდული საექიმო შემოწმება სჰვალდებულოდ უნდა იყოს მიჩნეული. სამწუხაროდ, ირკვევა, რომ დღესდღეობით რესპუბლიკის ძალიან ბევრ გუნდში ფეხბურთელთა საექიმო შემოწმება ჯერ კიდევ არ დგას სათანადო დონეზე. ზოგიერთი მწვრთნელი ნაცვლად იმისა, რომ საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერებთან საქმიანი კონტაქტის დამყარებას ცდილობდეს, გუნდს ამა თუ იმ ტურნირში სასპარეზოდ ადგილობრივი საექიმო კაბინეტების მიერ დამოწმებული ცნობით უშვებს. მაგალითად, თბილისის პირველობის მონაწილე ძალიან ბევრ ფეხბურთელს, ამა თუ იმ კვალიფიკაციის სპორტსმენს საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერში არა აქვს საექიმო-საკონტროლო ბარათი — ფორმა № 227. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მათ ღრმა საექიმო შემოწმება არ გაუვლიათ. ეს ეხება საქართველოს პირველობის მონაწილე ძალიან ბევრ ფეხბურთელსაც. გამოდის, რომ ჩვენი მწვრთნელები ყოველთვის არ ზრუნავენ ახალგაზრდა ფეხბურთელთა ჯანმრთელობაზე, რაც საბჭოთა სპორტის მთავარი და ძირითადი ამოცანაა. ყველა მწვრთნელს კარგად უნდა ახსოვდეს, რომ სპორტსმენებს შორის (ეს ეხებათ ბავშვებსაც, ჭაბუკებსაც და უფროსებსაც), განსაკუთრებით ისეთ მასობრივ სახეობაში, როგორიც ფეხბურთია, არცთუ იშვიათია ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ ფარული სერიოზული გადახრა, რომლის დროსაც დიდი ფიზიკური დატვირთვა სახიფათოა. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ფეხბურთელის ფიზიკური დატვირთვის ინტენსივობის განსაზღვრისათვის ერთჯერადი საექიმო შემოწმება საკმარისი არ არის. ამ მიზნით აუცილებელია მისი ორგანიზმის ფუნქციური შესაძლებლობის (ფიზიკური მომზადების) დინამიკაში შესწავლა. მართალია, სადღეისოდ ჯერ კიდევ არა გვაქვს შესაძლებლობა, რომ ყველა გუნდის მომზადებაში მედიკო-ბიოლოგიური ბრიგადა მონაწილეობდეს, მაგრამ პედაგოგიური და ფიზიოლოგიური კვლევის მარტივი მეთოდების გამოყენებით ამგვარი მუშაობის ჩატარება მწვრთნელებსაც შეუძლიათ. უნდა გვახსოდეს, რომ მწვრთნელს მხოლოდ ფუნქციური გამოკვლევის შემდეგ ეძლევა შესაძლებლობა თანამედროვე დონეზე გადაწყვიტოს თითოეული ფეხბურთელის ინდივიდუალური მეცადინეობის საკითხი.

ყველა ლიგაში მომუშავე მწვრთნელები უნდა ცდილობდნენ ცოდნის გაღრმავებას მედიკო-ბიოლოგიურ საკითხებში, ამაში მათ დახმარებას უნდა უწევდნენ სპორტული მედიცინის კათედრები, ფიზიოლოგიური ლაბორატორიები, უშუალოდ საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერები. მომავალში ფეხბურთის სამმართველო და ფედერაცია მწვრთნელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად ჩატარებულ სემინარულ მეცადინეობებზე ამ საკითხებს უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობენ.

დღეს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფეხბურთელთა შორის აღმზრდელობით მუშაობას. ამ მხრივ ბევრი რამ კეთდება ყველა ლიგის გუნდებში, თუმცა, ბევრი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია. როდესაც ფეხბურთელის მაღალ დისციპლინაზე ვლაპარაკობთ, სხვა ფაქტორებთან ერთად ჰიგიენური რეჟიმის დაცვასაც ვგულისხმობთ. გუნდში ჰიგიენური რეჟიმის ამოცანების სათანადოდ დამუშავება და გადაჭრა პირველ ყოვლისა მწვრთნელისაგან, ხოლო შემდეგ კი ფეხბურთელებისაგან ზოგიერთ მედიკო-ბიოლოგიურ საკითხში გარკვევასაც მოითხოვს. სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ხშირია შემთხვევები, როდესაც ფეხბურთელები მატჩების დროს ამგვარ რეჟიმს ყურადღებას არ აქცევენ, რაც ხშირად უმრავლეს შემთხვევაში თამაშის დაბალ დონეში ვლინდება. მწვრთნელებმა და გუნდებზე მიმაგრებულმა ექიმებმა უნდა იზრუნონ, რომ თითოეულმა ფეხბურთელმა კარგად შეიგნოს, თუ რაოდენ მავნებელია სპორტსმენისათვის ჰიგიენური რეჟიმის დარღვევის პირობებში შეჯიბრებაში მონაწილეობა. გარდა იმისა, რომ ასეთ შემთხვევაში ფეხბურთელის თამაში მეტად უფერულია, რეჟიმის დარღვევა უარყოფითად მოქმედებს ჯანმრთელობაზე.

ფეხბურთელი მაღალი ოსტატობით მხოლოდ მაშინ გვხიბლავს, როცა ყოველმხრივ კარგადაა მომზადებული, ეს კი მხოლოდ სისტემატური წვრთნითა და ჰიგიენური რეჟიმის დაცვით შეიძლება. მიუხედავად ამისა, ფეხბურთელთა შორის ჯერ კიდევ არსებობს ისეთი შეხედულება, თითქოს წარსულში ზოგიერთი მაღალი კლასის მოთამაშე ჰიგიენური რეჟიმის გარეშეც კარგ შედეგებს აღწევდა. ეს არ არის სწორი. რაც მთავარია, წარსულში ფეხბურთში ფიზიკური დატვირთვაც ნაკლები იყო, დღევანდელ ეტაპზე კი ფიზიკური მუშაობის უნარსაც და, აქედან გამომდინარე ჰიგიენურ რეჟიმსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ საკითხის წარმატებით გადასაჭრელად აუცილებლად მიგვაჩნია პირველი და მეორე ლიგების გუნდების უზრუნველყოფა შტატით მომუშავე ექიმებით. სხვა გუნდებს უნდა მივამაგროთ ექიმები, რომელთაც ფეხბურთი კარგად ესმით. იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არის (მაგალითად, პირველი ლიგის გუნდების ბაზებზე), უნდა მოეწყოს საექიმო კაბინეტები ზოგიერთი ფუნქციური გამოკვლევის ჩასატარებლად. ჩვენი აზრით, ფეხბურთის რომელიმე მოწინავე სკოლაში, ისევე როგორც ჭიდაობის სპეციალიზებულ რესპუბლიკურ სკოლაში, უნდა შეიქმნას მედიკო-ბიოლოგიური კაბინეტი, რომელიც გადაიქცევა მეთოდურ ცენტრად სპორტის ამ მასობრივ სახეობაში წვრთნის რეგულაციის საკითხების მეცნიერულად შესწავლის თვალსაზრისით. საჭიროა მედიკო-ბიოლოგიური ხასიათის მარტივი მეთოდური წერილებიც (მითითებები, რეკომენდაციები), რაც უდავოდ დიდ დახმარებას გაუწევს მწვრთნელებს პრაქტიკულ მუშაობაში. გარდა ამისა, რესპუბლიკის საექიმო-ფიზკულტურის დისპანსერებმა მკაცრი კონტროლი უნდა დააწესონ ფეხბურთელთა სამედიცინო შემოწმებაზე. იმ რაიონებში, სადაც ფეხბურთი სათანადო დონეზე დგას (მაგალითად, მახარაძე, ლანჩხუთი და სხვ.), მაგრამ საექიმო ფიზკულტურის დისპანსერი არ არის, აუცილებელია პოლიკლინიკებთან შეიქმნას კარგად მოწყობილი საექიმო კონტროლის კაბინეტები. ამ კაბინეტებს უნდა დავევალოთ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებთან ერთად ფეხბურთელთა საექიმო შემოწმების საკითხის მოგვარებაც.

მედიკო-ბიოლოგია, როგორც სპორტის ყველა სახეობის, ისე ფეხბურთის მეცნიერული საფუძველია. ამიტომ, ვიმეორებთ, მის პრაქტიკულ გამოყენებას მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს.

ა. ჭკუასელი,
რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსი.

რ. ხვანიშვილი,
სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფიზკულტურისა და საექიმო კონტროლის კათედრის გამგე, ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრი.

პირველი რევანში

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. 17 მაისი.

„დინამო“ (თბილისი) — „უიპეშტ დოჟა“ (ბუდაპეშტი) 2:1 (1:0).

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“: გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე (ჰილაია), ქორიძე, კოსტავა, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი, გ. მაჩაიძე, ჩელებაძე, წერეთელი.

„ᲣᲘᲞᲔᲨᲢ ᲓᲝᲟᲐ“: კოვაჩი, ვიცკო, შარლოში, კელნერი, შტემლერი, კოლარი, ზამბო, ა. ტოტი, ბირო, ბენე, ფეკეტე.

მსაჯი გ. ბაქანიძე (თბილისი).

„დინამოც“ და „უიპეშტ დოჟაც“ შესუსტებული შემადგენლობებით გამოვიდნენ მინდორზე. „დინამოს“ რიგებში არ იყვნენ ხინჩაგაშვილი, ყიფიანი, შენგელია, გუცაევი, დარასელია. „უიპეშტ დოჟასაც“ აკლდნენ ი. ტოტი, ნადი, ფაზეკაში... მეტოქეთა საუკეთესო მოთამაშეები თავიანთი ქვეყნების ნაკრებ კოლექტივებში თამაშობენ. არ ვიცით, რა გავლენას ახდენს ეს გარემოება „უიპეშტ დოჟაზე“, მაგრამ „დინამოს“ რომ მაინცდამაინც კარგ სამსახურს არ უწევს, ცხადია. რა გაეწყობა, მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების კალენდარი ისეა შედგენილი, რომ თბილისის „დინამოსაც“ და ბევრ სხვა საბჭოთა გუნდსაც გარკვეული მსხვერპლის გაღება უხდებათ. დინამოელებისათვის, როგორც ვთქვით, დანაკლისი ძალზე სერიოზულია. ვფიქრობთ, გუნდის თითოეულ წევრს დიდი სიხარულით მართებს, ვინაიდან გუშინწინდელი საერთაშორისო შეხვედრა თბილისელთათვის უკანასკნელი რეპეტიცია იყო საკავშირო ჩემპიონატის განახლების წინ. თქმა იმისა, რომ ამ შეხვედრამ თბილისელთა მზადყოფნა, ან მოუმზადებლობა გვიჩვენა, არ შეიძლება. არ შეიძლება თუნდაც იმის გამო, რომ გუნდის საუკეთესო ნაწილი მინდორზე არ გამოსულა.

ერთი კი თამამად შეიძლება ითქვას: მატჩის მონაწილე თითოეულმა დინამოელმა საკმაოდ მაღალი ტექნიკა გამოავლინა. მაგრამ ინდივიდუალური თამაშით ზედმეტმა გატაცებამ ძალზე გააძნელა გუნდის შესაძლებლობათა გოლებად გადაქცევა. თბილისელები იშვიათად მიმართავდნენ კომბინაციურ თამაშს. ასეთივე მანერა ამჯობინეს უნგრელებმაც და ამან ბუნებრივია, მატჩის სანახაობითი მხარე უფერული გახადა. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გუნდის დაცვაში საკმაოდ შესამჩნევი იყო შეცდომები, მეტოქეებმა ხელიდან გაუშვეს გოლის გატანის მრავალი შესაძლებლობა. პირველ ტაიმში მხოლოდ ერთი გოლი გავიდა. ეს იყო მე-20 წუთზე, როცა თბილისელებმა კარგად გაითამაშეს საჯარიმო და წერეთელმა დაახლოებით 26-27 მეტრიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა კარში.

მართალია, არც ერთი გუნდის თავდამსხმელთა და ნახევარმცველთა ინდივიდუალურ გარღვევებს გოლი არ მოჰყოლია, მაგრამ ბევრი სახიფათო მომენტი შესანიშნავად მოიგერიეს მეკარეებმა გაბელიამაც და კოვაჩმაც.

მატჩის 63-ე წუთზე უნგრელთა კარში 11-მეტრიანი საჯარიმო დაინიშნა. ჩელებაძის მიერ დარტყმული ბურთი კოვაჩმა მოიგერია, მაგრამ მას მიუსწრო ჩივაძემ და ანგარიში 2:0-მდე გაზარდა.

11-მეტრიანი საჯარიმოს მერე უნგრელები საგრძნობლად გააქტიურდნენ და ზუსტად 7 წუთის შემდეგ ერთადერთი საპასუხო გოლი გაიტანა „უიპეშტ დოჟას“ ვეტერანმა, 33 წლის ზამბომ. დინამოელებმა პირველი საერთაშორისო მატჩი მოუგეს უნგრელებს.

ჯ. ენუქიძე.

* * *

სურათზე: შეტევაზეა გ. მაჩაიძე.

ო. გველესიანის ფოტო.

ჩვენ კიდევ დიდხანს ვითამაშებთ ერთად

„ლელოს“ ინტერვიუ

ᲐᲚᲑᲐᲗ ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, თუ რა ინტერესი გამოიწვია სსრ კავშირისა და უნგრეთის ეროვნული ნაკრები გუნდების შეხვედრამ. თბილისის „დინამოს“ და ცნობილ უნგრული კლუბის „უიპეშტ დოჟას“ წინა დღის ამხანაგური შეხვედრა ამ დიდი სპორტული ზეიმის თავისებური უვერტიურა გამოდგა.

სტუმრებისთვის გამოყოფილ სექტორში საქართველოს ტელევიზიის კომენტატორმა **თ. სულხანიშვილმა** ინტერვიუ აიღო სსრ კავშირის ნაკრების კაპიტნისგან, სპორტის დამსახურებულ ოსტატ **თ. ბლოხინისგან.**

● **სადღეისოდ ჩვენი ნაკრების შანსები ერთობ მცირეა.**

— *ასეა! სასწაული თუ გვიშველის.*

● **ვთქვათ, მოგეცათ არჩევანის საშუალება: ან ეს სასწაული მოხდა, ან მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირი თავიდან იწყება, რომელს აირჩევდით?**

— *რა თქმა უნდა, ყველაფრის თავიდან დაწყებას, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს საუბარი ფანტასტიკის სფეროს განეკუთვნება.*

● **რით ხსნით ჩვენი მთავარი გუნდის არადამაჯერებელ თამაშს?**

— *მატჩების არახელსაყრელი განრიგით, საოცრად მცირე სათამაშო პრაქტიკით. გუნდი შეთამაშებული არ არის, არ სჯერა საკუთარი ძალების. რა თქმა უნდა, ძნელია ასეთი მაღალი რანგის მატჩების ერთკვირიანი ინტერვალებით თამაში. ასეთი რიტმი არც გუნდის შემადგენლობის კონსტრუქციული ცვლილებების საშუალებას იძლევა, არც ფეხბურთელთა ფსიქოლოგიური მომზადებისას.*

● **როგორ ფიქრობთ, ნაკრების დღევანდელი შემადგენლობა ოპტიმალურია?**

— *რასაკვირველია, ნაკრების შემადგენლობა სხვანაირიც შეიძლებოდა ყოფილიყო, მაგრამ ეს უკვე მწვრთნელების საქმეა.*

● **ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენმა თანაკლუბელებმაც ბევრი ვერაფერი შესძინეს გუნდს?**

— *გეთანხმებით. მათი თამაშის პროდუქტიულობა ბოლო დროს ერთობ დაეცა.*

● **მიზეზი?**

— *ოდესმე მანქანაც ხომ ჩერდება? ეტყობა, გადავიღალეთ.*

● **არიან კიევის „დინამოში“ ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებსაც ძალუძთ გუნდს ახალი სული შთაბერონ?**

— *ალბათ მხოლოდ ბესონოვი. ის უკვე ახლა პასუხობს ყველანაირ მოთხოვნას.*

● **ადრე თუ გვიან თქვენც მოგიწევთ ბუცების ლურსმანზე ჩამოკიდება...**

— *სულ ახლო წარსულში ვფიქრობდი, რომ მთელ ცხოვრებას ფეხბურთს შევალევდი. დღეს უკვე ვფიქრობ, რომ სადღაც ჩვენი გზები უნდა გაიყაროს.*

● **რას იტყვით ოკეანის გაღმა ბეკენბაუერის სენსაციური გამგზავრების გამო?**

— *ეს უფრო ფეხბურთის საქმოსანთა წარმატებაა, ვიდრე სპორტსმენის შეცდომა. სულ უბრალო არითმეტიკაა — ოქტომბერში თავდება პელეს კონტრაქტი „კოსმოსთან“, მხოლოდ ამიტომ გადაწყვიტეს ოკეანისგაღმელმა მეცენატებმა „შავი მარგალიტი“ თეთრით შეეცვალათ.*

● **და ბოლოს, ერთი კითხვაც: ფეხბურთის მოყვარულებს, რომლებიც ტელევიზიით ადევნებდნენ თვალს ნაკრების მატჩებს, შეექმნათ შთაბეჭდილება, თითქოს დავით ყიფიანი ვერ პოულობს საერთო ენას პარტნიორებთან და რომ ეს გაუგებრობა სათავეს საფეხბურთო მინდვრის გარეთ იღებს.**

— *თუ თქვენ ხასიათთა შეუთავსებლობა გაქვთ მხედველობაში, მაშინ კატეგორიულად შეიძლება ითქვას, რომ ეს ასე არ არის. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ჩვენ არ გვყოფნის შეთამაშება, ჯერ კიდევ ცუდად ვგრძნობთ ერთმანეთს. კითხეთ დავითს, თვითონვე დაგიდასტურებთ. მჯერა, რომ ჩვენ ჯერ კიდევ დიდხანს ვითამაშებთ ერთმანეთის გვერდით...*

ბლოხინმა მსუბუქად წაჰკრა მხარი ყიფიანს და სსრ კავშირის ნაკრების ორმა ფორვარდმა ღიმილით გადახედა ერთმანეთს.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲛᲐᲡᲢᲐᲑᲘᲗ

□ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲓ მიმდინარეობდა აჭარის „სიჭაბუკის თასის“ გათამაშება ფეხბურთში 1961-62 წლებში დაბადებულ ნორჩთა შორის. საპატიო პრიზისთვის იბრძოდნენ „დინამოს“, „სპარტაკის“, „განთიადის“, „კოლმეურნისა“ და საფეხბურთო სკოლის აღსაზრდელები.

ტურნირი კარგად ჩაატარეს ბათუმის „დინამოსა“ და საფეხბურთო სკოლის გუნდებმა, რომლებიც 3-3 გამარჯვების შემდეგ გადამწყვეტ მატჩში შეხვდნენ ერთმანეთს. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა უშედეგოდ — 0:0, მაგრამ გატანილი და მიღებული ბურთების უკეთესი სხვაობით თასი წილად ხვდა საფეხბურთო სკოლის გუნდს (მწვრთნელი — სპორტის ოსტატი ა. კვაჭაძე).

Ო. ᲛᲣᲠᲕᲐᲜᲘᲫᲔ.
(ჩვენი კორ.).

□ ᲐᲮᲛᲔᲢᲐ

საინტერესოდ მიმდინარეობდა ახმეტის რაიონის პირველობა ფეხბურთში „ოქროს თავთავის“ თასზე. სარბიელზე გამოვიდნენ 10 მეურნეობის წარმომადგენლები.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ქისტაურისა და არგოხის გუნდები. დაძაბულ ბრძოლაში გაიმარჯვეს ქისტაურელებმა — 2:1.

მ. ბუზალაძე,
სპორტის ოსტატი.

□ ᲪᲮᲐᲙᲐᲘᲐ

საქართველოს ალკკ ცხაკაიას რაიკომის თაოსნობით მოეწყო საინტერესო შეჯიბრება მინი-ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდა საწარმო-დაწესებულებათა 30 გუნდი.

წარმატება წილად ხვდათ სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს წარმომადგენლებს.

ე. ბუბუნავა.
(ჩვენი კორ.).

საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის შეხვედრები.

I ᲯᲒᲣᲤᲘ

„მზიური“ (გალი) — „ამირანი“ (ოჩამჩირე) 1:0. მსაჯი ზ. ვანიშვილი (გორი).

მატჩს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასპინძელთათვის, რომლებმაც შეძლეს კიდეც 2 ქულის აღება. ამასთან, ერთადერთი გოლი გატანილ იქნა მე-3 წუთზე ხარაბაძის მიერ.

„სქური“ (წალენჯიხა) — „მეტალურგი“ (ზესტაფონი) 2:1. მსაჯი დ. აბუთიძე (ქუთაისი).

„კოლხეთი“ (ხობი) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 2:0. მსაჯი ტ. ცერცვაძე (სოხუმი).

სპარტაკელთა კარში ბურთები გაიტანეს გვასალიამ და კაჭარავამ.

„დურუჯი“ (ყვარელი) — „ქართლი“ (გორის რაიონი) 8:1. მსაჯი ი. კანდელაკი (თბილისი).

ღონღაძემ, მენთეშაშვილმა და შავერდოშვილმა სამჯერ აიღეს სტუმართა კარი, რასაც 42-ე წუთზე მოჰყვა კოჭლაშვილის საპასუხო გოლი. შესვენების შემდეგ ანგარიში არ შეცვლილა.

„კოლხეთი“ (ფოთი) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) 8:1. მსაჯი ა. პაიჭაძე (ხაშური).

პოლიტექნიკური ინსტიტუტი (თბილისი) — „მაღაროელი“ (ჭიათურა) 1:0. მსაჯი ნ. ამირეჯიბი (თბილისი).

ორივე გუნდს საკმარისად ჰქონდა წარმატების მიღწევის შესაძლებლობა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტები უშედეგოდ მთავრდებოდა. სტუდენტებს გამარჯვება მოუტანა წერეთლის მიერ 68-ე წუთზე გატანილმა გოლმა.

„იმერეთი“ (წულუკიძე) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 0:0. მსაჯი გ. ბაშკოვი (ბათუმი).

„ეგრისი“ (ცხაკაია) — „მეშახტე“ (ტყიბული) 0:1. მსაჯი ა. აფრიდონიძე (ქუთაისი).

სტუმრებმა კარგად ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი, რომელიც თავიანთ სასარგებლოდაც დაამთავრეს (ქარქაშაძე). შემდგომში ცხაკაიელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ დამარცხებას ვერ დააღწიეს თავი.

„ივერია“ (ხაშური) — „ნადიკვარი“ (თელავი) 2:1. მსაჯი დ. გაგნიძე (თბილისი).

სტუმრების კარში ბურთები გაიტანეს კიკაძემ და ლაბაძემ, შესვენების შემდეგ კი „ნადიკვარმა“ რამდენიმე შესაძლებლიდან მხოლოდ ერთის გაწონასწორება შეძლო (მაისურაძე).

ასკ (თბილისი) — „სალხინო“ (გეგეჭკორი) 2:3. მსაჯი მ. დუბროვინი (თბილისი).

„სალხინო“ დაწინაურდა ჯერ კიდევ შესვენებამდე და ამ ერთი გოლის უპირატესობა შეინარჩუნა მატჩის ბოლომდე. აღსანიშნავია მსაჯთა ბრიგადის არაკვალიფიციური მომსახურება.

„განთიადი“ (თბილისი) — „მერცხალი“ (მახარაძე) 2:2. მსაჯი თ. ლაცაბიძე (თბილისი).

განთიადელები წინ იყვნენ აფხაზავას და ჯოხაძის მიერ გატანილი გოლების შემდეგ, მაგრამ გუნდმა ვერ შეძლო უპირატესობის შენარჩუნება, ამდენივე საპასუხო ბურთი გაუშვა მჟავანაძისა და გუჯაბიძისგან.

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

I ᲯᲒᲣᲤᲘ

მდგომარეობა 18 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მზიური“	13	10	3	0	17—3	23
„დურუჯი“	13	7	3	3	18—13	17
„იბერია“ ს.	13	6	5	2	14—9	17
პოლიტ. ინსტ.	13	6	4	3	23—13	16
„სპარტაკი“	12	7	2	3	15—7	16
„მეტალურ.“ რ.	14	5	6	3	15—10	16
„კოლხეთი“ ფ.	13	5	6	2	18—14	16
„სქური“	13	7	1	5	12—13	15
„ნადიკვარი“	12	5	4	3	16—10	14
„მეშახტე“	13	5	4	4	13—12	14
„მერცხალი“	12	4	5	3	17—8	13
„მაღაროელი“	13	3	7	3	14—9	13
„სალხინო“	11	5	2	4	15—15	12
„მეტალურ.“ ზ.	13	4	3	6	20—22	11
„კოლხეთი“ ხ.	13	3	4	6	12—15	10
„ეგრისი“	13	3	3	7	12—17	9
„ივერია“ ხ.	13	3	3	7	10—24	9
„განთიადი“	10	1	6	3	5—9	8
ფიზკ. ინსტ.	11	2	3	6	13—16	7
ასკ თბ.	10	1	5	4	9—12	7
„იმერეთი“	13	1	5	7	9—24	7
„ქართლი“	11	2	2	7	8—16	6

II ᲯᲒᲣᲤᲘ

I ზონა

„განთიადი“ (კასპი) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 3:1, „არაგვი“ (დუშეთი) — „არაგვი“ (მცხეთა) 3:3, „თრიალეთი“ (წალკა) — „იბერია“ (ქარელი) 0:1, „მეშაქრე“ (აგარა) — „განახლება“ (ადიგენი) 3:1, „მაღაროელი“ (ბოლნისი) — „სამცხე“ (აწყური) 2:0, „ალაზანი“ (გურჯაანი) — „ქერეთი“ (ლაგოდეხი) 0:2. ასპინძის „განთიადს“ გამარჯვება ჩაეთვალა ახმეტის „ქიმიკოსთან“.

II ზონა

„გიგანტი“ (ლაითური) — „სულორი“ (ვანი) 0:0, „მექაღალდე“ (ზუგდიდი) — „შუქურა“ (ქობულეთი) 2:0, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ოჯალეში“ (ბანძა) 1:1, „ავტომობილისტი“ (ბათუმი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 2:1, ხდკ (სამტრედია) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 2:0, „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) — „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) 4:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ტორპედო“ (გაგრა) 1:0.

ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲛᲝ ᲓᲐᲤᲐ

განვლილი ტურის მატჩებში მინდვრიდან გააძევეს მცხეთის „არაგვის“ მოთამაშე ა. ავანაშვილი.

გაფრთხილებული არიან: მ. ბეჟაშვილი (პოლიტექნიკური ინსტიტუტი, თბილისი), მ. გოგილავა და გ. სევასტოპულო („მშენებელი“, ჭიათურა), ი. ჯანაშია („ოჯალეში“, ბანძა), თ. ბზიკაძე და ი. იოსელიანი („სამგურალი“, წყალტუბო), ა. იორამიშვილი („არაგვი“, მცხეთა), დ. აბაშიძე („მეშახტე“, ტყიბული).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ ᲑᲐᲖᲔᲑᲖᲔ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. საქართველოს ჩემპიონატი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 21 მაისი. ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „დურუჯი“ (ყვარელი). დასაწყისი 14 ს.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

●

ᲒᲣᲨᲘᲜ...

თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩი. ერთმანეთს შეხვდნენ „სპარტაკი“ (თბილისი) — „დინამო“ (ბათუმი).

მატჩი მოიგო „სპარტაკმა“ — 1:0.

1:0

ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲘ. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი უნგრეთისა და სსრ კავშირის ახალგაზრდა ფეხბურთელთა შორის დამთავრდა უნგრელთა გამარჯვებით 1:0.

ᲛᲝᲠᲘᲒᲘ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 მაისი. დღეს აქ მოეწყო „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, მე-20 ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახეობები:

„სპორტლოტო“: 9 (თავისუფალი ჭიდაობა), 24 (სათხილამურო სპორტი), 33 (რეგბი), 37 (სროლა), 38 (მშვილდოსნობა), 47 (ჰოკეი ბურთით).

„სპორტლოტო-2“: 3 (აკრობატიკა), 5 (ბადმინტონი), 8 (კრივი), 15 (წყალბურთი), 37 (სროლა), 48 (ჭადრაკი).

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ჩემპიონატები, ფავორიტები, ლიდერები

პორტუგალია

პირველი ადგილის ბედი კარგა ხანია პრაქტიკულად გადაწყვეტილია: ლისაბონის „ბენფიკამ" 26 თამაშში 43 ქულა მოაგროვა და 6 ქულით უსწრებს „ფკ პორტუსა" და „სპორტინგს" (ლისაბონი).

უკანასკნელი მატჩი „ბენფიკამ" პორტუში მოიგო ადგილობრივ „ლეიქსოსთან" — 2:1.

ბელგია

„ფკ ბრიუგს" 31-ე ტურში საპასუხისმგებლო მატჩი ჰქონდა „ლოკერენთან", მაგრამ „ლოკერენმა" ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა შარშანდელ ჩემპიონს და დამარცხდა — 1:4.

ამჟამად „ფკ ბრიუჟმა" 30 თამაშიდან 47 ქულით პრაქტიკულად შეინარჩუნა ჩემპიონის წოდება. 42-42 ქულა მოაგროვეს ბრიუსელის „ანდერლეხტმა" და „მოლენბეკმა".

საბერძნეთი

28-ე ტურში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შარშანდელი ჩემპიონისა და ახლანდელი ლიდერის პაოკ-ის (სალონიკი) მატჩს ათენში ადგილობრივ აეკთან. ამავე დროს ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი „პანათინაიკოსი" სალონიკში ეთამაშებოდა ამ ქალაქის მეორე გუნდს „ირაკლისს".

აეკ-მა ანგარიშით 1:0 სძლია ლიდერს, ხოლო „პანათინაიკოსმა" გაიმარჯვა ანგარიშით 2:1.

ამრიგად, ჩემპიონატის დამთავრებამდე 8 ტურით ადრე I ადგილისთვის ბრძოლის შესაძლებლობას 4 გუნდი ინარჩუნებს: „პანათინაიკოსსა" და პაოკ-ს 44-44 ქულა აქვთ, პირეოსის „ოლიმპიაკოსსა" და აეკ-ს — 41 ქულა თითოეულს.

საფრანგეთი

საფრანგეთის ჩემპიონატის დამთავრებამდე 7 ტური რჩება. 31 ტურის შემდეგ 46 ქულით მტკიცედ ლიდერობს „ფკ ნანტი", რომელმაც 6 ქულით ჩამოიტოვა „ოლიმპიკი" (ლიონი) და შვიდით — „ბასტია". საპრიზო ადგილებისთვის იბრძვიან, აგრეთვე, „ნიცა" და „ლანი".

ლონდონში ჩატარდა უჩვეულო მატჩი — წყალქვეშ ჰოკეიში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდები. როგორც ამ სურათზე ხედავთ, ყვანჯებიც უჩვეულოა და შაიბაც.

საკდესის ფოტო.

ორიენტირი — 23 მეტრი

ამერიკულმა ჟურნალმა „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსმა" გამოაქვეყნა ინტერვიუ მსოფლიო ექს-რეკორდსმენთან ბირთვის კვრაში ტერენს ოლბრიტონთან. გთავაზობთ ამ ინტერვიუს მცირეოდენი შემოკლებით.

— ერთბაშად გამოვლინდა თუ არა თქვენი ნიჭი ბირთვის კვრაში?

— არა, მე-8 კლასში, როდესაც ამ სახეობამ გამიტაცა. ტოლებში მეექვსე ვიყავი, შემსუბუქებულ ბირთვს მხოლოდ 9 მეტრამდე ვკრავდი. ზაფხულში დამ ნამდვილი ბირთვი მომიტანა, მთელი არდადეგები სიამოვნებით ვვარჯიშობდი. მოგვიანებით სერიოზულად გამიტაცა ამერიკულმა ფეხბურთმა. ერთხელ სკოლის პროგრამით ათჭიდში გამოსვლა მომიხდა. ყველა გაკვირვებული დარჩა, როცა ბირთვი მეტრნახევრით უფრო შორს ვტყორცნე, ვიდრე ჩემზე უფროსებმა. მძლეოსანთა მწვრთნელმა, რომელსაც ამ სახეობაში უნდოდა გადავეყვანე, მითხრა: „ვერ დავიჯერებ, რომ ეს შედეგი შემთხვევით არ აჩვენეო". იძულებული ვიყავი გავსულიყავი ბირთვის კვრის სექტორში.

— მსოფლიო რეკორდის (21,85) დამყარების წინ ფიქრობდით თუ არა ამ შედეგზე?

— ვფიქრობდი, თუმცა 1975-76 წლების სეზონი ჩემთვის ძალიან წარუმატებელი იყო. ადრე გაზაფხულზე შედეგები თუმცა სწრაფად გავაუმჯობესე, მაგრამ მსოფლიო რეკორდის შემდეგ ტრავმებმა შემიშალა ხელი. გამოვტოვე მრავალი საპასუხისმგებლო შეჯიბრება, ვერ ვასრულებდი სრულყოფილად საწვრთნელ ვარჯიშებსაც. ოლიმპიადამდე დიდი ხნით ადრე ვგრძნობდი, რომ ვერ შევძლებდი ნაკრებში მოხვედრას, მაგრამ ამაში საკუთარ თავს არ ვუტყდებოდი.

— მას შემდეგ, რაც მძლეოსანთა შესარჩევ შეჯიბრებაში მეოთხე ადგილი დაიკავეთ და გუნდში ვერ მოხვდით, ხომ არ თვლით ამერიკული გუნდის შერჩევისა და დაკომპლექტების არსებულ სისტემას არასწორად?

— არა, არ ვთვლი. ოლიმპიადაში ხომ თითო ქვეყნიდან 3-3 ათლეტი მონაწილეობს. სპეციალურ შეჯიბრებებზე სამი საუკეთესოს შერჩევა ხდება. საერთოდ კი, არასწორად მიმაჩნია ის, რომ ოლიმპიადაზე არ შეუძლია გამოსვლა ყველა უძლიერეს სპორტსმენს. რატომ არ უნდა დაუშვან თამაშებზე წლის 30 უძლიერესი ათლეტი ყველა სახეობაში, თუნდაც ისინი, დავუშვათ, მხოლოდ სამი სახელმწიფოდან იყვნენ?

— თქვენ წლეულს უნივერსიტეტს ამთავრებთ, რას ფიქრობთ შემდგომში?

— მინდა დავხელოვნდე ფილმების შექმნაში. ვამთავრებ დოკუმენტურ ფილმს ჩემს კოლეგა ელ ფოიერბახზე. ჩემი უფრო მნიშვნელოვანი და სერიოზული მიზანია ამერიკის შეერთებულ შტატებში მძლეოსანთა მომზადების სისტემის სრულყოფა. სხვა ცნობილ სპორტსმენებთან ერთად წლეულს ზაფხულში განზრახული მაქვს პატარების წინაშე გამოსვლა, მინდა შევაყვარო მათ მძლეოსნობა.

— რითი ხართ დაკავებული თავისუფალ დროს?

— ვთამაშობ მაგიდის ჩოგბურთს. შეიძლება სასაცილოდ მოგეჩვენოთ, მაგრამ შემჩნეული მაქვს, რომ მაგიდის ჩოგბურთში ჩემი თამაშის ხარისხი ასახავს ბირთვის კვრაში მომავალი გამოსვლების დონეს. ასე რომ, ეს ჩემთვის თავისებური ფსიქოლოგიური მომზადებაა.

— როგორია თქვენი გეგმები მიმდინარე სეზონში?

— ჯერჯერობით სულმოუთქმელად ვვარჯიშობ, შემდეგ — ვნახოთ.

— არსებობს თუ არა თქვენთვის რაიმე მიუწვდომელი ზღვარი? (შეგახსენებთ, რომ ახლანდელი მსოფლიო რეკორდი, რომელიც საბჭოთა სპორტსმენს ალექსანდრე ბარიშნიკოვს ეკუთვნის, 22,0 მეტრია).

— ვფიქრობ, ჩემთვის ჯერჯერობით მიუწვდომელი ზღვარი 23 მეტრია. მაგრამ, მხოლოდ ჯერჯერობით...

მძლეოსნობა

კინგსტონი. [illegible] მძლეოსანთა დიდი საერთაშორისო შეჯიბრება, რომელიც რამდენიმე მაღალი შედეგით აღინიშნა. 800 მეტრზე მორბენალ ვაჟთა შეჯიბრებაში კენიელმა მ. ბოიტმა წლევანდელ სეზონში მსოფლიოში საუკეთესო შედეგი მოიპოვა (1.44,7).

ჩვენ ვიტყობინებოდით, რომ გიოტინგენში გამართულ შეჯიბრებაში დასავლეთგერმანელმა ევა ვილმსმა ხუთჭიდში მსოფლიო რეკორდი დაამყარა — 4794 ქულა. აღსანიშნავია, რომ მძლეოსნობის მოყვარულთა საერთაშორისო ფედერაციის (იააფ-ი) გადაწყვეტილებით, ქალთა ხუთჭიდში უკანასკნელი სახეობა — 200 მეტრზე რბენა შეიცვალა 800 მეტრზე ასპარეზობით და იააფ-მა მსოფლიო რეკორდების აღრიცხვაც ახალი სისტემით ამ სეზონიდან დაიწყო.

ლიდერის როლში

ლონდონი. გაზეთმა „ტაიმსმა" ცნობილ პოლონელ ჩოგბურთელს ვოიცეხ ფიბაკს მიუძღვნა წერილი, რომელსაც დღეს გთავაზობთ მცირეოდენი შემოკლებით:

„სამწუხაროდ, დროთა განმავლობაში ბევრი სახელგანთქმული ჩოგბურთელი ტოვებს საერთაშორისო სარბიელს, მაგრამ მათ ახალი, ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილი ვარსკვლავები ცვლიან. ერთ-ერთი მათგანია ვოიცეხ ფიბაკი, რომელმაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

ფიბაკმა ბოლო ორ წელიწადში საუცხოო თამაშით გამოიჩინა თავი, მაგრამ იგი 24 წლისაა, ამ ასაკში კი კოდეშმა უკვე საფრანგეთის ღია პირველობა მოიგო, ხოლო ნასტასემ ყველას აჯობა იტალიის ჩემპიონატში. ფიბაკი პირველი პოლონელი ჩოგბურთელია, რომელმაც პროფესიონალთა შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება მიიღო. ამავე დროს, იგი თამამად შეიძლება მივიჩნიოთ პოლონეთში ყველა დროის საუკეთესო ჩოგბურთელად.

ვოიცეხის მამა ქირურგია. სწორედ მისი დაჟინებით დაიწყო ბიჭმა ჩოგბურთში ვარჯიში, თუმცა პროფესიონალის კარიერაზე არ უფიქრია. მერე კი ყველაფერი შეიცვალა. 1970 წელს ვოიცეხმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. „გადავწყვიტე მეტი ყურადღება მიმექცია ჩოგბურთისთვის. მამამ მხარი დაუჭირა ჩემს სურვილს. 1971 წელს პოზნანის საუკეთესო სკოლა დავამთავრე და უნივერსიტეტში, იურიდიულ ფაკულტეტზე შევედი.

1972 წელს, როცა პირველი კურსი დავასრულე, ქალაქის საუკეთესო ჩოგბურთელი ვიყავი. ფაკულტეტის დეკანმა ინდივიდუალური გეგმით მეცადინეობის უფლება მომცა და წვრთნისთვის მეტი დრო მრჩებოდა".

1973 წელს ფიბაკმა პოლონეთში მეორე ჩოგბურთელის სახელი მოიპოვა ნოვიცკის შემდეგ და დევისის თასის გათამაშებაში მიიღო მონაწილეობა. იმავე პერიოდში მოიგო თავისი პირველი საერთაშორისო ტურნირი მილანში, რომელშიც 21 წლამდე ასაკის იუნიორები მონაწილეობდნენ. მაგრამ თვით პოლონეთში მას სერიოზული მეტოქეობა ელოდა უფრო გამოცდილი ჩოგბურთელების რიბარჩიკის, ნოვიცკისა და სხვათა მხრიდან. ვოიცეხი ცდილობდა რაც შეიძლება ხშირად ეთამაშა შინაც და უცხოეთშიც, გამოცდილება გაემდიდრებინა. 1974 წლის დამლევს მას უკვე დამარცხებული ჰყავდა ისეთი სახელოვანი ჩოგბურთელი, როგორიცაა უიმბლდონის ტურნირში გამარჯვებული არტურ ეში. 1975 წლიდან ფიბაკი პროფესიონალთა შეჯიბრებებშიც მონაწილეობს. 1976 წელს მან და მაიერმა წყვილთა თანრიგში პროფესიონალთა შორის ჩემპიონობა მოიპოვეს. შარშანვე ფიბაკმა წარმატებას მიაღწია ერთეულთა თანრიგშიც: მსოფლიო კლასიფიკაციაში ორმოცდამეთვრამეტე ადგილიდან მეთოთხმეტეზე გადაინაცვლა. მას დამარცხებული ჰყავს მსოფლიო ჩოგბურთის ისეთი ვარსკვლავები, როგორიც არიან ბორგი, ნასტასე, ორანტესი, რამირესი, დაბსი და ტანერი.

ფიბაკის წარმატებებმა საერთაშორისო სარბიელზე ხელი შეუწყო პოლონეთში ჩოგბურთის აქტიურ განვითარებას. ბოლო ორ-სამ წელიწადში ამ ქვეყანაში ჩოგბურთის კორტების რიცხვი თითქმის ორჯერ გაიზარდა.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

ბრწყინვალე გამარჯვება

ჯაფარიძეების ბინაში ყველაფერი მთამსვლელობით სუნთქავს. ფოტოსურათებზე სამუდამოდ აღბეჭდილა მათი საქმენი საგმირონი.

სიმონი, ალიოშა და ალექსანდრა!

ერთი ბუდიდან აფრენილი სამი არწივი.

სიმონი და ალექსანდრა ერთ-ერთი პირველნი იდგნენ საბჭოთა მთამსვლელობის სათავეებთან და სხვებთან ერთად საკუთარი წერაყინებით კვალავდნენ მის გზას.

სიმონს თეთნულდზე უმუხთლა ბედმა, 1929 წელს.

ალიოშა მთამსვლელობაში დაღუპული ძმის საქმის განგრძობის სურვილმა მიიყვანა ერთი წლის შემდეგ.

ალექსანდრამ ათეული წლების მანძილზე მრავალჯერ ასახელა ქართული და საბჭოთა სპორტი. მარტო ის რად ღირს, რომ მსოფლიოს მთამსვლელმა ქალთაგან მან პირველმა მოახრევინა ქედი იალბუზს, თეთნულდს, უშბას...

უშბის ფოტოზე შეჩერდა თვალი.

1934 წლამდე ქართველი და საბჭოთა მთამსვლელებისთვის უშბა მიუღწეველი ოცნება იყო. მსოფლიოში ბევრი მიუვალი, ტექნიკურად რთული მწვერვალია, მაგრამ უშბისოდენი პოპულარობით ბევრი ვერ დაიქადნის.

საბჭოთა მთამსვლელთაგან უშბის დაპყრობა პირველად ქართველმა სპორტსმენებმა ითავეს.

...1934. საბჭოთა მთამსვლელობა 11 წლისაა. საქართველოს პტესი-ს (პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების სამმართველო) სამთო სექციაში შედგა უშბის დაპყრობის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ იოსებ ასლანიშვილი (თავმჯდომარე), ალიოშა ჯაფარიძე, მიქელ პატარიძე, ლევან მარუაშვილი, სანდრო გვალია. კომიტეტმა უშბაზე საიერიშოდ ალიოშა ჯაფარიძე (ექსპედიციის უფროსი), სანდრო გვალია (თანაშემწე), ლევან მარუაშვილი, ალექსანდრა ჯაფარიძე, იაგორ კაზალიკაშვილი და მიქელ პატარიძე შეარჩია. ჯგუფში უნდა შესულიყო, აგრეთვე, ერთ-ერთი ადგილობრივი მთამსვლელი, რომელსაც მესტიაში შეარჩევდნენ.

ალექსანდრა და იაგორი იმ ჯგუფებში შედიოდნენ, რომლებმაც 1925 და 1930 წლებში უშბაზე ასვლა სცადეს, ალიოშამ კი მათთან ერთად 1930 წელს პირველად მიიტანა იერიში ამ მწვერვალზე.

უშბის ამ ეპოპეამ უდიდესი გამოხმაურება ჰპოვა. იგი საბჭოთა მთამსვლელობის დიდ გამარჯვებად აღიარეს. ამ ეპოპეის ერთ-ერთი მონაწილე, — ამჟამად გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლევან მარუაშვილი იგონებს:

— გულის ყინვარის მორენასთან ვიყავით დაბანაკებული. ალიოშა ჯაფარიძე და გიო ნიგურიანი მოგვიანებით შემოგვიერთდნენ. თავაზიანი და დარბაისელი გიო, თუმცა ზორბა ტანის კაცი იყო, კლდეებზე შესანიშნავად დადიოდა. მიკვირდა ისიც, რომ კოჭლი იყო, მაგრამ კლდეებზე სულ არ ემჩნეოდა ეს.

— საჭურველი პრიმიტიული და ტლანქი გვქონდა, ტანსაცმელი თითქმის ჩვეულებრივი.

— დავიძარით.

— უშუალოდ უშბის იერიშში მონაწილეობა ავადმყოფობის გამო ვერ მივიღე. გულის ყინვარიდან სიგნიანი გავყევი ჯგუფს და „არწივის ბუდეში" (4000 მეტრიან სიმაღლეზე) ავედი. იქიდან ჩემი ზემოთ წასვლა აღარ შეიძლებოდა. მე და სანდრო გვალია იქ დავრჩით.

— ალიოშა, ალექსანდრა, გიო და იაგორი უშბის ციცაბოებს შეუდგნენ. პირველ დღეს გვეგონა, რომ ავიდნენ კიდეც მწვერვალზე. სანდრო გახარებული ყვიროდა, გაუმარჯოს საბჭოთა ალპინიზმსო. მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ მთამსვლელებს კედელი ვერ აეღოთ და უკან ეშვებოდნენ ღამის გასათევად.

— მეორე დილით კი ზღაპრული სანახაობის მოწმენი გავხდით. ალექსანდრას ის ღამე კედელზე დაკიდებულს გაეთია. დილით კარვიდან გამოსულმა ჭოგრიტით დავინახე, ალექსანდრას თმა ჩამოეშალა და დინჯად ივარცხნიდა. ნადირობის ქალღმერთი დალი გვეგონებოდათ, მზის ოქროსფერ სხივებში გახვეული.

— ორი დღის შემდეგ ალიოშამ უშბაზე მწვერვალის დაპყრობის ნიშნად ცეცხლი დაანთო, სანდრო გვალიამ კარვის ჯოხზე ჩვრები დაახვია, ნავთში ამოავლო, ცეცხლი წაუკიდა და სიხარულით ისევ დაიწყო ხტუნვა-ყვირილი. შემეშინდა, უფსკრულში არ გადაიჩეხოს-მეთქი.

— დაშვებისას კულუარში ალექსანდრა დაცურდა და უფსკრულისკენ დაექანა. გიომ შეაჩერა, თორემ დაიღუპებოდა.

— უშბის დაპყრობა ორ ღირსშესანიშნავ მოვლენას დაემთხვა: მესტიაში პირველი თვითმფრინავის გადაფრენას და რაიონული გაზეთის „ახალი სვანეთის" პირველი ნომრის გამოსვლას.

— ამ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ მთამსვლელებმა ადგილობრივ მცხოვრებლებთან ერთად გადაიღეს სურათი, რომელსაც დღეს გთავაზობთ. სხედან: ს. გვალია (მეორე მარცხნიდან), ა. ჯაფარიძე (მეხუთე); დგანან: ლ. მარუაშვილი, ა. ჯაფარიძე (მესამე), ს. ასლანიშვილი (მეხუთე), ი. კაზალიკაშვილი (მეექვსე).

ი. ხაგულიანი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380098, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონი ცნობებისთვის 93-97-57.

7 ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 03392